მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს,
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ.     ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

№ 34     ოთხშაბათი, 19 ივლისი 1906 წ. თბილისი     № 34

**ქუთაისში პოლიციელმა მოჰკლა სტუდენტი აბრამ რიჟინაშვილი**

## „გლეხის“ რედაქცია

გადავიდა სოლოლაკში განოვის ქუჩაზე სახლი გურგენოვისა № 8 ქალაქის საბჭოს მახლობლად.

## ადრესის გამოცვლა

ჩვენი აგენტებისა, მკითხველებისა და ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

ამ დღიდან ადმინისტრაცია „ნობათისა“ გადადის გაზეთ „მუშის“ ადმინისტრაციის ხელში. ამისათვის ყოველგვარი წერილები და ფული იქეთ უნდა იქნას მიმართული. ჩვენ აგენტებსა ვსთხოვთ ანგარიშიც „მუშის“ ადმინისტრაციას გაუწიოს. ყოველ წერილზე და აგრეთვე ფულიან კონვერტებზე, თუ თუ ფულის გამოგზავნის უწყებებზე მკაფიოდ უნდა იქმნას აღნიშნული: „ნობათისათვის“

**„მუშის“ რედაკციის, რომელიც ამიერიდან „ნობათის“ ადრესიცაა.**

### რა არ უნდა ვჰქნათ.

სოციალ-დემოკრატები და სოციალ-რევოლიუციონერები*) ედავებიან ერთი მეორეს სოციალისტობას, რევოლიუციონერობას და ინტერნაციონალისტობასაც, მაგრამ, რომ არც ერთი მათგანი სოციალისტები არ არიან გარდა სახელწოდებისა ცხადია, რადგან არც ერთი მათგანი არც დღეს და არც შემდეგში სახელმწიფოს არ უარჰყოფენ. საქმე არც მხოლოდ უარყოფით თავდება, ამასთან საჭიროა უარყოფის ნაირობაც. თუ „კანონები“ და ხმის უმეტესობით საქმის გადაწყვეტა არ იქნა უარ ყოფილი ცხადია გაქცეული და არა განადგურებული სახელმწიფო ისევ ისე წამოდგება, რადგან თუ „კანონი“ არსებობს, მისი ასრულებაც და ამსრულებელიც უნდა არსებობდეს. მაშასადამე „კანონი“ საჭიროდ ხდის სასამართლოს, სასამართლო პოლიციას, პოლიცია ჟანდარმერიას და ისე ad infinitum. თვით „კანონი კი უნდა დაედოს ხალხს ასასრულებლად საკანონმდებლო დაწესებულებაში; თუ ხალხს საქმეების გადასაწყვეტათ ისეთი დაწესებულება აქვს, სადაც კანონმდებლობა სწარმოებს—პარლამენტი—მაშინ „კანონის“ ე. ი. სახელმწიფო თავისი მაიძულებელი ორგანოებით. ამას გარდა, როდესაც საზოგადოებაში ისეთი დაწესებულებაა, რომელშიაც მუშავდება „კანონები“, სწყდება საზოგადოებრივი ცხოვრების ურთი-ერთობანი ხმის უმეტესობით, კენჭის ყრით, მაშინ ცხადია, რომ საზოგადოება გაყოფილია ორ ბანაკად უმცირესობათ და უმრავლესობათ. ამგვარი გაყოფა საზოგადოების ნიშნავს ან იმას, რომ უმცირესობა **თავის** სურვილის, **ნების წინააღმდეგ** ემორჩილება **თავის ნებით** უმრავლესობის გადაწყვეტილებას, რაც ყოვლად შეუძლებელია, ან იმას რომ, უმცირესობა უმრავლესობისაგან იძულებულია. ამიტომ უმრავლესობას უსათუოთ დასჭირდება უმცირესობის დამორჩილება, დამორჩილებას დასჭირდება დამმორჩილებლები. რადგან ყველაფერი რაც არსებობს, იზრდება იმოდნად, რამდენადაც სუსტია დამაბრკოლებელი ძალები, მაშასადამე დაუდგება უმცირესობას ისეთი დრო, როდესაც მის შესამაგრებლათ და მის მიერ უმრავლესობის ნების ასრულების დავალებისთვის აღარ იქმნება საკმარისი პოლიცია, პოლიციას ჟანდარმერია მოჰყვება, ამ უკანასკნელს ჯარი და ამგვარად მივალთ იმ ადგილას საიდგანაც გადავსახლდით მოწამლულის ჰაერის აუტანლობისათვის.

ისინი რევოლიუციონერობენ; მართალია რევოლიუციონერობენ, მაგრამ ბურჟუაზიაც კი რევოლიუციონერობდა დასავლეთ ევროპაში, ის დღესაც რევოლიუციონერობს რუსეთში. ამიტომ საჭიროა რევოლიუციონერობა, მაგრამ ის საკმარისი არ არის. საჭიროა ვიცოდეთ რისთვის ვახდენთ რევოლიუციას და როდემდის ვართ რევოლიუციონერები.

რა ფარგალში, რა საზღვრებში არის მოქცეული მათი რევოლიუციონერობა? მათი რევოლუციონერობა თვითმპყრობელობის ფარგალში სწარმოებს. ისინი მუშაობენ რუსეთში რევოლიუციის ალის გასაძლიერებლათ, **მანამ, სანამ მათ გაბატონებას ხელს უშლის** არსებული თვითმპყრობელობა. იმათ სურთ სამეფო თვითმპყრობილობა შესცვალონ რესპუბლიკანურ თვითმპყრობელობათ ან კიდევ უარესად. იმათ უნდათ რევოლიუცია დღევანდელ თვითმპყრობილობის წინააღმდეგ იმისთვის, რომ შემდეგ დღევანდელ არალეგაურ, რევოლიუციონურ მოქმედებიდგან გადავიდნენ პარლამენტარულ მშვიდობიან მოლაპარაკების ტაქტიკაზე. მათი რევოლიუციონერობა იმ ქვეყნებში სადაც პარლამენტარიზმი არსებობს დაიწია ნულამდის, **ისინი პარლამენტარულ ქვეყნებში რევოლიუციონერები არ ბრძანდებიან, არ იქმნებიან რევოლიუციონერები ჩვენშიც თუ პარლამენტარიზმი დამყარდა.**

არ არიან ისინი არც ინტერნაციონალისტები, თუნდაც ამ სახელით ყოველ დღე ეკლესიაში მოეხსენებიონ თავიანთი თავი, რადგან **როდესაც სახელმწიფო არ არის უარყოფილი, არ არის მაშინ უარყოფილი საზღვრებიც და თუ საზღვრები არსებობენ, არსებობს ნაციონალიზმიც, სახალხთაშორისო სოციალიზმი, რევოლიუცია და ანარხიზმი ერთი მეორეის დაუშორებელნი არიან, რადგან სახალხთაშორისობა, ინტერნაციონალიზმი უარყოფაა საზღვრების, საზღვრების უარყოფა კი სახელმწიფოებრივობის უარყოფაა და სახელმწიფოს უარყოფა კი არის აღიარება ერთ და იმავე დროს საზოგადოებრივობის, სოციალიზმის და ანარქიზმისა.**

სოციალ-დემოკრატიული აბსურდების გვირგვინი ის არის, რომ დასავლეთ ევროპაში სულ მუდამ იმას გაიძახიან, რომ ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ არაფერი არ მისცა ხალხსო, ბურჟუაზიამ პროლეტარიატის ხელით მოიპოვა თავისუფლებაო და პროლეტარიატი მშრალზე დატოვაო, რომ ბურჟუაზიული კანონი რომელიც შესდგება კანონის წინაშე თანასწორობაში ბურჟუაზიული ტყუილიაო და ამასთანავე ჩვენი წმინდა რუსეთის მართლ-მადიდებელი სოც.-დემოკრატები თხოულობენ აი სწორედ ამ ტყუილს, ამ არაფერს დასავლეთ ევროპასას და თავგამოდებით ამას არ კმარობენ და სხვასაც აძალებენ ამ ტყუილისთვის და არაფერისთვის ბრძოლას. არა ჩვენ გვინდა სოციალიზმისთვის ბრძოლა და დაგვილოცნია თქვენთვის ტყუილებიც და არაფერებიც.

ცხადია, რომ ჩვენ მივიყვანთ ს.-დემოკრატიულ ტემპერატურას იქამდი, რასაც რუსები до бѣлаго каленія-ს უძახიან ან უსაზღვროთ გავაკვირვებთ იმათ იმით, რომ ვიტყვით: დიახ ჩვენ გვწამს ერთი ძლიერ დიდი მნიშვნელობა და სარგებლობა პარლამენტარიზმის. ჩვენი „უტოპისტური“ აზრით პარლამენტარიზმს, როდესაც ის აუცილებელია, დიდი სარგებლობა მოაქვს სოციალისტური მოძრაობისთვის. რევოლიუციონური მომენტი ისეთი ხანაა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, როდესაც ამოძრავებულია მრავალი სოციალური ჯგუფები, ძალები, რომლებიც თითქმის გაერთიანებული არიან თავიანთ მოქმედებაში, რომელიც შეიცავს მრავალ სხვა და სხვა მისწრაფებებს და მიზნებს, მიზნებს რომელშიაც ვერ გამორკვეულან საზოგადოებრივი ძალები, რადგან ისინი უმთავრესად გატაცებულნი არიან დანგრევის პროცესით და ვერ ბედავენ დროებით დაფარულს, მაგრამ რადიკალურ წინააღმდეგობას

---

*) ჩვენთვის სახელწოდებას სოციალ-რევოლიუციონერს, სოციალისტ-რევოლიუციონერს და სოციალისტი-რევოლიუციონერს სულ სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვს. ჩვენში საქართველოში ისეთი სოციალისტი რევოლიუციონერები არიან, რომლებიც ჩვენ ძლიერ გვიახლოვდებიან შეადგენენ თითქმის ჩვენი მიმართულების მარჯვენა ფრთას, ამიტომ ჩვენ კრიტიკას აქვემდებარება უფრო სოციალისტ-რევოლიუციონერთა მარჯვენა ფრთა, რომელიც ძლიერ ენათესავება სოციალ-დემოკრატიას.

ჩვენებურ სოც.-რევოლიუციონერებს არ სწამთ არც პარლამენტი და არც სახელმწიფო, სხვა ნაკლულევანებანი, რომლებიც მათში მოიპოვება ისეთი უმნიშვნელო არიან, რომ ჯერ-ჯერობით იმათ უყურადღებოთ ვტოვებთ იმ დროისთვის, როდესაც ორივე მიმართულება უფრო მოცლილი იქმნებიან

თავიანთ მონების შორის; მაგრამ შეგნება ბრძოლასთან ერთად ვითარდება და ბრძოლის ნაყოფთან, გამარჯვება ან დამარცხებასთან, ერთად დასრულდება შეგნების განვითარებაც; ამიტომ თუ პარლამენტარიზმი ნაყოფი შეიქნება სოციალური ბრძოლის, მაშინ ის ელემენტები, რომლებიც პროლეტარიატს რევოლიუციის დროს სიყვარულს უცხადებდენ და უმახ ნჯებდენ მიზანს და მოქმედებას, ჩამოშორდებიან სოციალისტურ რევოლიუციონერებს და ამოჰყოფენ თავს პარლამენტში; ამ გვარათ თვით ბუნებრივი შერჩევის წყალობით გაიწმინდება სოციალისტური მოძრაობა იმ ბურჟუაზიული ელემენტებისგან, რომლებიც სოციალიზმს მხოლოთ ძველის დანგრევაში უახლოვდებოდენ: ზოგი დეპუტატათ წავა პარლამენტში, ზოგი პარლამენტარულ პარტიათა ორგანიზაციაში შევა პარტიულ კლუბში „სტორროჟად“, ზოგი საარჩევნო დროისთვის „ყანყრატოების“ ორგანიზაციას მოჰკიდებს ხელს და სხვა.

ამ გვარად ცხადია პარლამენტარიზმის სარგებლობა, რადგან ის მოაცილებს პროლეტარიატს ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს და თავის უბეში მოაგროვებს ყველა იმ მოწამლულ ჰაერს, რომელიც სულთქმას უწამლავს და სულს უხუთავს პროლეტარიატს სოციალისტურ მიზნებისთვის ბრძოლაში.

J. La Flamme.

## ახალი ამბავი

სვანეთიდან იტყობინებიან, რომ დამსჯელი რაზმი უკვე შესულა ქვემო სვანეთში. გაუვლია ორი სოფელი და აქა-იქ დაუტოვებია თავისი „კვალი“. ს. ლენტეხში დამსჯელ ჯარის უფროსს წარსდგომიან ზემო-ქვემო სვანეთის წარმომადგენლები და განუცხადებიათ სრული მორჩილება. წარმომადგენლები დაპირებიან, რომ ყოველივე მთავრობის მოთხოვნილებას ავასრულებთო. ჯარის უფროსი, გახარებული საქმის ასეთი დაბოლოვებით, უკანვე ნაფიქრება დაბრუნებას. ჯარს ცაგერში მოელიან 18—20 ივლისამდე.

— 18 ივლისს გაიფიცენ „გერმესის“ სტამბის მუშები და წარადგინეს ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებანი.

გაზეთი „მშაკი“, რომელიც ამ სტამბაში იბეჭდება 19 ივლისს ვეღარ გამოდის.

— დახურეს სამხედრო წესების მოხსნამდე ყოველ კვირეული სატირიული სურათებიანი ჟურნალი „ყიყლიყო“.

— მახათის ქუჩაზე ახშარუმოვის სახლში თავი ჩამოუხრჩვია გადასახადების ამკრეფ მოხელეს ვლ. დიაკონოვს. დიაკონოვს დაუტოვებია წერილი, რომელშიაც სწერს, რომ მის მკვლელობას ნურავის დააბრალებენ, რადგან თვით მოიკლა თავი. მიზეზათ დიაკონოვი ასახელებს იმ გარემოებას, რომ მომწყინდა „სილატაკეში ცხოვრებაო“.

— ქალაქის გამგეობა ამ დღეებში გახსნის ზუბალოვის სახელზე აშენებულს სახალხო სახლს. სახალხო სახლი ელექტრონით იქნება განათებული, რისთვისაც დაიდგმის ელექტრონის მატორი.

— როგორც ვწერდით დღეისათვის სამხედრო სასამართლოში დანიშნული იყო მგელაძის, კვაჭაძის და ყრუაშვილის საქმე. მგელაძის ავათმყოფობის გამო საქმე გადაიდო.

— გზათა მინისტრმა დაგზავნა გზებზე შემდეგი შინაარსის ცირკულიარი: თუ კი რომ სადმე საჭირო შეიქნეს რკინის გზაზე შარშან გამოცემული კანონების შემოღება, შესახებ გაფიცვებისა, რომელთაც აქვთ საზოგადო მნიშვნელობა, დაუყოვნებლივ მიმართეთ ამ საშუალებას შეიძლება ადრეც შემოიღოთ. შემთხვევის დროს იმოქმედეთ გაბედულათ, თანაც სამინისტროს ფიცხლათ ყოველივე აცნობეთ. ყოველივე ზომები მიიღეთ, რომ რკინის გზებზე დეპეშების გადაცემა წესიერათ სწარმოებდეს. ნება არ მისცეთ, რომ უკანონო ორგანიზაციებმა ისარგებლონ ტელეგრაფით. თუ კი აღმოჩნდება „ტელეგრაფისტთა კავშირის“ წევრი ტელეგრაფისტი, დაუყოვნებლივ დაითხოვეთ, როგორც ტელეგრაფისტები შემოგაკლდესთ, მოიწვიერთ კანტორებიდან, ადგილობრივი უფროსების დანიშნულებით, რომელთანაც წინდაწინვე მოილაპარაკებთ.

— შუშის არე-მარედან ჯერ კიდევ სამწუხარო ამბები მოდის, თუმცა ქალაქ შუშიდგან იტყობინებიან, რომ ორთავე მებრძოლი მხარემ თეთრი ბაირაღები გამოჰკიდა და ამითი განაცხადა სურვილი შერიგებისა. 18 ივლისს ეს ამბავი ეუწყათ მცხოვრებლებს. რას გამოც სამშვიდობო პროცესია იყო გამართული.

— გუშინ, 17 ივლისს, ღამის თორმეტის ნახევარზე ვაგზლის ქუჩაზე, სასიკვდილოთ დასჭრეს მუცელში რევოლვერით ნიკა; ეს მომუშავე ყოფილა ბახვას ღვინის სარდაფში. მკვლელობის მიზეზი ჯერ გამორკვეული არ არის.

## დეპეშა.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი** მოვიდა ახალი ჯარი, ზარბაზნებით და ტყვიის-მტყორცნელებით. ცხრა პოლიტიკური დატუსაღებულნი გაანთავისუფლეს. გუ-

# ფელეტონი

**მოკლე სისტემა ანარქიზმისა.**

(ე. მალატესტასი)

(გაგრძელება).

**საუბარი მეშვიდე.**

**ამბრუაზ.** თქვენ შემპირდით ამიხსნა, თუ რა არის კომმუნიზმი.

**გიორგ.** სასურველია. კომმუნიზმი არის ისეთი ფორმა საზოგადოებრივ ორგანიზაციისა, რომლის დროსაც ყოველი ის ჩაგვრა-წვალება ერთისაგან მეორესი, ყოველთვის ზრუნვა მთელი ქვეყნიერების ბედნიერების ხელში ჩასაგდებათ, როგორც ეს ხდება არსებულ წყობილებაში, შეიცვლება ძმურ სოლიდარობით, იმ მიზნით რომ ერთი მეორეს, მიანიჭონ რაც შეიძლება მეტი კეთილდღეობა. ყველა ის მადაროები და მიწები, ყველა ის სიმდიდრე, რომლებიც შექმნილია როგორც ბუნების მეოხებით, ისე წარსულ ჩამომავლობის შეწევნით, იქნება საერთო კუთვნილებათ, ხალხი, კომმუნისტურ წყობილებაში, იმუშავებს ერთად იმ მიზნით რომ შექმნან ყველა ის ნივთები, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის.

**ამბრუაზ.** მივხვდი. თქვენ გინდათ, როგორც იმ ბროშიურაში იყო ნაჩვენები, რომელიც მე მქონდა ანარქისტთა პროცესსის დროს, რომ, თვითოეული მუშაობდეს იმდენს, რამდენიც შეუძლია და ხარჯავდეს იმდენს, რომ თავისი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, ან თვითოეული იძლეოდეს შეძლების და გვარად, და მიჰქონდეს რასაც საჭიროებს. ხომ სიმართლეა?

**გიორგ.** დიახ, სახელდობრ ამნაირ წესებს ვიმეორებთ ჩვენ ყველაზე ხშირად; მხოლოდ რომ ისე ნათლად წარმოვიდგინოთ კომმუნისტური საზოგადოება, როგორც ჩვენ გვესმის, საჭიროა კარგად ახსნა ამ წესებისა. რასაკვირველია, ეს არ არის აბსოლიუტური უფლება, რომელიც თვითეულ ადამიანს აძლევდეს შეძლებას, რომ დაიკმაყოფილოს, ყველა თავისი მოთხოვნილებანი, რახან მოთხოვნილებანი უთვალავია და ამას გარდა უფრო იზრდება, ვიდრე ამათი დასაკმაყოფილებელი საშვალებანი, და შემდეგ კი განსაზღვრულია ამა თუ იმ წარმოების და მიხედვით. თუ რომ კოლლექტიური შრომა, არ ეთანხმებოდეს საზოგადოებათა სარგებლობას, და ღებულობდეს არა სასურველ მიმართულებას, იმ მიზნით რომ დააკმაყოფილოს არა ზომიერი სურვილები, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, რაოდენიმე პირთა გულის ნდომა— ეს იქნება უსამართლობა.

ამნაირათ შეუძლებელია სიტყვის თქმა იმაზე, რომ ადამიანმა დახარჯოს მთელი თავისი ძალ-ღონე საზოგადოებრივ წარმოებისათვის, რახან ღონისაგან მოწყვეტა და მისუსტება ზედმეტი შრომისაგან ადამიანისა, ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, ნიშნავს მის დაღუპვას და სიკვდილს. ჩვენ გვინდა რომ ყველა სცხოვრობდეს რაც შეიძლება შვენიერათ, რომ მცირე ძალ-ღონის დახარჯვით ყველა იმყოფებოდეს კეთილ დღეობაში. ჩემთვის ძალიან ძნელია, დავასურათო, პრაქტიკულად, როგორ განხორციელდება მაგნაირი მდგომარეობა, და ჯერ მე არც ვსცნობ შესაძლებლად ამის განხორციელებას.

მაგრამ როდესაც აღარ იქნებიან საზოგადოებაში ჟანდარმები და უფროსები, როდესაც ხალხი ძმურად მიეპყრობიან ერთი მეორეს, ურთიერთ შორის იქნება ამხანაგობა და მხარის დაჭერა, აი მაშინ პრაქტიკული განხორციელება ჩვენი მოძღვრებისა დიდხანს არ შეჩერდება. თვითოეულ კერძო შემთხვევაში, ხალხი თანდათან შეჩვევით იმოქმედებს ისე როგორც შეუძლიანთ და შეიძლებს, სანამ არ მიაღწევს სრულ წარმატებას და კეთილდღეობას.

**ამბრუაზ.** მივხდი; თქვენ მომხრე ხართ საზოგადოებრივ საწყობებისა ყველა მუშაობს თავის სურვილით და ამზადებს იმ საგნებს, რაც მათთვის სპეციალურ პროფესიას შეადგენს, შემდეგ ყველაფერი გროვდება საზოგადო მაღაზიებში და თვითოეულს მიაქვს ის, რასაც საჭიროებს და რაც მოსწონს. ხომ ასეა?

**გიორგ.** მე ვხედავ, თქვენ არ ხუმრობთ, ისე შეუდექით ამ კითხვის გარკვევას; ვკონებ წაგიკითხავთ ჩვენი პროცესსის ბროშიურა უფრო ყურადღებით, როგორც ჩვეულებრივად ხდება, როდესაც გვგზავნიან საპყრობილეში. ვაშა! თუ მოსამართლენი და პოლიციელნი ყოველთვის წაიკითხავენ გაჩხრეკის დროს წართმეულ ლიტერატურას, იქნება რამე შეისმინონ!

მაგრამ დაუბრუნდეთ საქმეს. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ კომმუნისტურ საკუთრებაზე, ამაში გამოიხატება მხოლოდ ჩვენი მისწრაფება, რომ შეიცვალოს ეხლანდელი ჩარჩობის სულით გაჟღენთილი მდგომარეობა, ძმურ სოლიდარობით; მაგრამ ეს კიდევ არ არის გამომხატველი ნამდვილ სოციალურ ორგანიზაციის ფორმისა.

შესაძლებელია, თქვენ შეხვდეთ რაოდენიმე ჩვენ ამხანაგებს, რომლებიც ამბობენ, რომ თავისუფალი სურვილებისამებრ შრომა ყოველთვის ჩამოაგდებს განხეთქილებას ურთი-ერთ შორის, და სხვა და

...შინ საღამოს პოლიციელმა მოჰკლა სტუდენტი **აბრამ რიჟინაშვილი**, რომელსაც ვითომ გაქცევა სდომებია.

# რ უ ს ე თ ი

„როსსია“-ში მოთავსებულ სტატიამ უცხო სახელმწიფოთა ჩარევის შესახებ, შინაურ რუსეთის საქმეებში, რომელმაც დიდი აურ-ზაური ატეხა საზღვარ გარედ და თვით რუსეთის ბიუროკრატიაში დიდი უსიამოვნება, როგორც „ნაშა ჟიზნ“-ს შეუტყვია დაწერილია შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგ გურკოს მიერ

—

განსაკუთრებულ განყოფილებაში, პოლიციის დეპარტამენტისა ირჩეოდა კითხვა, მთელ სოციალისტურ გაზეთების შეყენების შესახებ, რომ ამით როგორმე შეეფერხებინათ მოწოდების დაბეჭდვა მიმართული ხალხისადმი მშრომელთა და სოც.-დემოკრატიულ ჯგუფისა. კითხვა გადაწყდა დეპარტამენტის სასურველად. (რეჩ.)

—

დაჭერილია წიგნი მ. ა. ბაკუნინის თხზულებანი I ტომი. გამოცემა გალაშოვისა. (ნაშა ჟიზნ).

—

„Watwiga“ იუწყება ერთი საყურადღებო ფაქტს: ერთს სახლის პატრონს უნდოდა შეეშინებინა, ღვინით მოვაჭრე, უთხრა რომ დუქანში ორი სოციალისტი მოდიანო. ღვინის ვაჭარმა შეატყობინა ახლო დაბანაკებულს ჯარის რაზმს, საიდანაც გაგზავნილ იქმნენ 40 ჯარის კაცი, ერთი, ოფიცერით. ჯარი ორი დღე ეძებდა სოციალისტებს მაგრამ ვერაფერი ვერ იპოვეს საეჭვო.

—

პეტერბურგში დაბანაკებული ჯარი დაუქვემდებარეს პეტერბურგის გრანდონაჩალნიკს გენერალ-მაიორ ფონ-დერ-ლაუნ-ცს. (XX ვეკ).

—

დაცვის განყოფილებამ სწრაფად გაგზავნა ვიბორგში და გელსინგფორში 80 აგენტი და ჯაშუშები. იქვე წავიდნენ 4 ჟანდარმების ოფიცრები. ქალაქ პეტერბურგში ძალიან იყო გავრცელებული ხმა, გელსინგფორში ესკადრის გაგზავნის შესახებ, დიდი-მთავრ ალექსანდრე მიხეილის ძის უფროსობით. გზები პეტერგოფ და ცარსკოე სელოს შუა დაჭერილია ჯარით.

—

9 ივლის გაჩხრიკეს წევრები მშრომელთა ჯგუფისა თავიანთ ბინაზე (ონიპკო ტესელია და სხვა) როგორც გადმოგვცემს „ნაშა ჟიზნ“ ეძებდნენ მანიფესტს რომელითაც მშრომელთა ჯგუფს უნდა გამოეცხადებინა **„დამფუძნებელ კრებად“** თუმცა პოლიციამ ვერაფერი ვერ იპოვა, მაგრამ განაცხადეს რომ მოწერილობა გაქვს უნდა დაგაპატიმროთო. როგორც მოწერილობა ყოფილა უნდა დაეჭირათ დეპუტატ-რედაქტორები „დელო ნაროდა, ნაროდნი ვესტნიკ მისლ, იზვესტია კრესტიანსკის დეპუტატოვ, ტრუდოვაია როსსია“ და სხვანი.

—

რკინის გზის პეტერბურგის ოლქის კომიტეტმა, აცნობა რკინის გზის კომიტეტებს, რომ ეხლა ხან გაფიცვები ყოვლად შეუძლებელია და არც უნდა მოხდესო (XX ვეკ).

—

თანახმად შეერთებული კომიტეტის დადგენილებისა „ბირჟევოი ვედომოსტის“ სიტყვით, დეპუტატები არ დასტოვებენ პეტერბურგს და ყველა მოუცდიან მოჰავალს ამბებს.

—

მიღებულია ზომები რომ დაპატიმრებულ ყოფილიყო დეპუტატი სოლომკო რედაქტორი „მისლ“-ისა, მაგრამ სოლომკო წასულა კიდეც პეტერბურგიდგან, არ იციან სად. დაიწყო დაპატიმრებანი და ჩხრეკა. დაჭერილია 200 კაცამდე. (პეტერბურგის ლისტოკი).

—

— გუშინ პოლიციამ აკრძალა „ნოვოე ვრემია“-ს ახლად გამოსული ნომერი. (რუსკია ვედომოსტი).

— მოსკოვის სოციალდემოკრატიულ კომიტეტმა დაადგინა, რომ არ გამოიტანოს რაიმე გადაწყვეტილება, სინამდე არ მიიღებდეს ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებას, რადგანაც ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ძლიერ სერიოზულია. (რუსკია ვედომოსტი).

# უცხოეთი.

**ჩრდილოეთის და დასავლეთის შეერთებული შტატები***).

მხოლოდ ეს იყო საბუთი ჩვენ ამხანაგების წინააღმდეგ. მართალია, რომ ეს უკანასკნელნი მკვლელობის დღეს იყვენ 1500 კილომეტრზე მეტი იმ ადგილიდგან, სადაც ეს მოხდა, მაგრამ ამერიკელ ქსაჯულებს არ სცხვენიან ცოტა ოდნად მაინც, რადგანაც ეს შეეხება აჯანყებულთა მუშებს.

სუყველა ამერიკელი კაპიტალისტები ატყობინებენ სამივე დანაშაულებს თავიანთ პირათ საქმეში, და თითონ პრეზიდენტი რუზველტი თავის ერთ-ერთ სიტყვაში გაჰკვრით ამბობს, რომ ესენი უთუოდ დამნაშავენი უნდა იყვნენო.

საჭიროა ვიცოდეთ, როგორი იქნება პროლეტარიატის მდგომარეობა, აქამდინ, ისინი მხოლოდ აგროვებენ ფულს და ამტკიცებენ რეზოლიუციას რომელზედაც ასე აშკარად დასცინის კაპიტალისტური კლასსი.

ჩვენი ამხანაგების ადვოკატებს არ გაუჭირდებათ დაამტკიცონ რომ ეს პროცესი საზიზღარი მახინაციაა. ესენი არიან ჩარსონი ხუთი წლის ადვოკატი ფედერაციისა, კლარანსი დაროვი ჩიკაგოსი, მარკგოტანი ნიუიორკისა.

*) იხილე «მუშა» № 33.

სხვა ნაყოფები შეგროვდებიან იმდენი, რომ წარმოებაში და მოთხოვნილებაში რაიმე გაუმჯობესებული წესის შემოღება ზედმეტი იქნებაო.

მაგრამ ჩემის აზრით ეს ასე არ არის: როგორც მე უკვე აღვნიშნე, მოთხოვნილება, ადამიანს უფრო მეტი აქვს, ვიდრე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი საშვალება, მე ვამბობ, რომ უპირველესად საჭიროა ღიური ანუ არსების საზრდოსათვის ზრუნვა რომელზედაც იხარჯება ცოტა ძალ-ღონეც.

ყოველივე საქმე ხალხთა შორის თანხმობაში და სოლიდარობაშია. ეცადინეთ რომ შეისმინოთ ჩვენი მოძღვრება, ნუ აძლევ თითქმის მეტ მნიშვნელობას ფორმულებს, რომლებიც ჩვენს პარტიაშიც ისეა როგორც სხვებში. მხოლოთ სახელოვანი მანერა გამოთქმა თავის მისწრაფებისა, მანერაა მოკლე და სტიკი, მაგრამ თითქმის ყოველთვის არასრულებით გარკვეული.

**ამბრუაზ.** თქვენ არ ამჩნევთ, რომ კომმუნიზმი არის უარყოფა თავისუფლებისა, არა ცნობა ადამიანურ პიროვნებისა, შეიძლება მას შეუძლია არსებობა კაცობრიობის განვითარებაში, როდესა ზნეობით და გონებით განუვითარებელი ველური, არ არჩევდა თავის ინტერესებს, თავის ჩამომავლობის ინტერესებიდგან; შეიძლება ის შესაძლებელია შეურყეველ მორწმუნე-ბერთა საზოგადოებაში, მხოლოთ თანამედროვე საზოგადოებაში ის შეუძლებელია. კომმუნიზმი რომ ოცნება არ იყოს ის იქნება უკუმბრუნებელი ბარბაროსობისაკენ, ყველა ინდივიდუმის დაწინაურებისათვის ზრუნვა, იქნებოდა ძირფესვიანათ მოსპობილი.

**გიორგ.** ნუ ხარჯავთ თქვენ ამ ჭრელ-ჭრელ სიტყვებს! ამ ძველ ტიპის საბუთებს დიდი ხანია ვიცნობ!..ყველანი ფრაზებია! უსინდისო, უსირცხვილო, ტყუილი! თავისუფლება, ინდივიდუალიზმი ადამიანისა, სიმშილისგან მომაკვდავისა. რა სასტიკი ირონიაა! რა ღრმა პირმოთნეობა თქვენ იცავთ იმ საზოგადოებას, რომელშიაც ხალხის უმრავლესობა პირუტყვივით სცხოვრობს რომელშიდაც მშრომელი ტანჯვაშია ვაებაში და აუტანელ სიღატაკეშია სადაც ბავშვები სიმშილისაგან მილიონებით იღუპებიან, სადაც დედაკაცები ხდებიან როსკიპებათ, რომ სიმშილით არ მოკვდნენ; სადაც მეფობს თავხედობა, სადაც ნიჭს ჰყიდის თავის ცოდნა, და სადაც სიცრუე უნდა ილაპარაკო, რომ სიმშილით არ მოკვდე; და თქვენ კიდევ ბედავთ თავისუფლების და ინდივიდუალიზმზე ლიპარაკს?!

მხოლოდ თქვენთვის ორიოდე ბრბოსათვის არსებობს თავისუფლება და ინდივიდუალიზმი... მაგრამ თქვენ—მსხვერპლები ხართ იმ წყობილებისა სადაც ბრძოლით ადამიანისა ადამიანთან მოწამლულია მთელი ცხოვრება; და თქვენ კიდეც მოიგებთ სოლიდარობაზე დამყარებულ საზოგადოებაში ცხოვრებით სადაც არსებობს თანასწორობა თანასწორთა შორის, თავისუფლება თავისუფალთა შორის.

როგორ შეგიძლიანთ იმის თქმა რომ სოლიდაროპა წინააღმდეგია თავისუფლების და ინდივიდუალიზმის?! თქვენ იმის მტკიცებასაც დაიწყებთ რომ ძმანი და დანი უფრო თავისუფალნი იქნებოდნენ მაშინ და უკეთესად განავითარებდნენ თავიანთ პიროვნებას როდესაც იმის მაგივრად რომ კეთილი სურდეთ ერთი მეორესთვის და მუშაობდნენ საერთო სარგებლობისთვის ურთიერთ-თანხმობით, რომ გაჰქურდონ ერთმანეთი და შეიძულოს ერთმა მეორე.

**ამბრუაზ.** კომმუნისტურ საზოგადოებაში ხომ საჭირო იქნება უკიდურესი ცენტრალიზაცია, სასტიკი დესპოტიზმი, სახელმწიფოს განუსაზღვრელი უფლობა. უყურებთ თქვენ როგორ შემავიწროებლათ დააწვებოდა უფლება მხარეს, რომელთა ხელშიც მოგროვდებოდა მთელი საზოგადოებათა ხვედრი, და რომელიც უჩვენებდა თვითეულს თავის სამუშაოს და მოხმარების ნაწილს!

**გიორგ.** რასაკვირველია, რომ კომმუნიზმი იყოს ისეთი როგორც თქვენ ან სოციალ-დემოკრატებს აქვთ წარმოდგენილი, ის უსათუოდ მიგვიყვანდა საშინელ ტანჯვამდი და რეაქციამდი. მაგრამ კომმუნიზმს, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამნაირ წარმოდგენებთან; კომმუნიზმი, რომელიც ჩვენ გვინდა უნდა იყოს თავისუფალი, „ანარქიული კომმუნიზმი“ თუ ეს სიტყვა თქვენ არ გაშინებთ, ჩვენ გვინდა რომ კომმუნიზმი გამეფდეს თავისუფლად, ყოველგან, დაწყებული თვითეულ პირთა კავშირებისაგან, ცოტ-ცოტა გადასვლით ფედერაციათა კავშირებში, რომლებიც თან და თან გაფართოვდებიან, სანამ მთელი კაცობრიობა არ შეკავშირდება საერთოდ, და არ დაემყარება კოოპერაციასა და სოლიდარობაზე. და რახან ასეთი კომმუნიზმი დამყარდება თავისუფლად, ის უნდა ეთანხმებოდეს იმ პირთ რომელთაც მეოხებით განხორციელებული იქნება.

კან-გან-ჰარ.

(შემდეგი იქნება).

რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენი როლი უკვე დასახულია. ეს იქნება პროცესის წინათ გავწიოთ უდიდესი აგიტაცია სხვათა ქვეყნებში იმათ სასარგებლოთ, რომლის დალუპვა სურთ, ჩვენ არ შეგვიძლიან დავივიწყოთ რომ შეერთებულ შტატებში პირველმა ფედერაციამ დასავლეთის მადნის მუშებმა ასწია მაღლა დროშა რევოლიუციონური სინდიკალიზმისა და ბრალდებლების პირების უკან იქნებიან ჩვენი დაჩაგრულ და გაცარცულ კლასსის მისწრაფებანი, რომელიც შეებრძოლება გამტყუნებას.

---

# კორესპონდენცია

—

**დ. ჭიათურა.** როგორც ნამდვილ წყაროებიდან გავიგე, სოფელ წყალშავის, უსახელოს, ჯალაურთას და მონდეეთის მცხოვრებ გლეხებს აუკლიათ ბატონ გ. ამილახვარის ტყე (ქბილარის მთა), დაუჭრიათ ხეები და გამოუტანიათ რასაც მათი საჭიროება მოითხოვდა; ამაზედ რასაკუთრველია სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის ყურადღება მიუქცევია, ზომებიც შესაფერი მიუღია გლეხების წინააღმდეგ და მაშინვე გამოძიება დაუნიშნავთ: აურჩევიათ კომისია. დ.-ს, რომელმაც უნდა შეაფასოს დაჭრილი ხეები და ტყის ზარალი; კომისია დააფასებს და მის დაგვარად დაადებს ბაჟებს გლეხებს, ეს ბაჟები, როგორც გადმოგვცეს უნდა მოხმარდეს სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციას. გლეხებს ამაზედ შემდეგი წინადადება მიუციათ სოც.-დემოკრატების ამორჩეულ კომისიისთვის: თუ მოგვცემთ იმის პირობას რომ თუ ვინიცობაა რესქციამ კიდევ გაიმარჯვოს და ჩვენ ხელ-ახლად არ გადაგვახდევინონ ფული, იმ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია თქვენც მოქცეთ ბაჟი. ამაზედ რასაკვირველია სოც.-დემოკრატები გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდნილან. კამისიის გადაწყვეტილება კი პირდაპირ ისაა, რაც ზემოთ ვსთქვით. ცოტა შენიშვნას მივცემ სოც.-დემოკრატების მეთაურობით ამორჩეულ კომისიას, **ნუ კისრულობენ დღევანდელ მთავრობის მაგიერობას** და ნუ ადებენ ბაჟს გლეხების მიერ გამოტანილ ტყეს, თქვენი საქმე არ არის იმის შეფასება, თუ რა ღირს. ჯერ გაჯავრებულ გლეხებს ევალებათ **სოციალ-დემოკრატიული რეაქცია** დააკმაყოფილონ და შემდეგ კი მოსალოდნელი მეორე რეაქციის უნდა ეშინოდესთ, ჩემი, მხრიდან დასაგმობი და გასაკიცხია ამნაირი არამკითხე და მოძალე კომისია. ამ ნაირი ბაჟები კი ბურჟუაზიული. ექსპლოატატორულია და საზიზღარია სოციალისტებისთვის ამ ნაირი გარდაწყვეტილება და მოუწოდებ კომისის წევრებს, ნუ კისრულობენ დღევანდელ მთავრობის როლს (თუმცა გაემტყუნებათ ეს მაგრამ, ხომ მთავრობის მოტრფიალე ყოველივე ბაჟებზედ არის დაჩვეული) ნუ ჰბორკავენ გლეხებს ბაჟებით და გადასახდებით, ნუ ატყავებენ ისედაც გატყავებულს გლეხებს. თქვენ კი გლეხებო! მოგიწოდებ და გეტყვით; ისარგებლეთ დღევანდელი დროით სადაც მოსახერხებელი იქნება სრული უფლება გაქვთ გამოიტანოთ და თქვენ წაიღოთ და სოც. დემოკრატების ამორჩეულ კომისიას არ გადასცეთ. არა და არა, თქვენია ტყე, თქვენია მიწა და არავის უფლება არ აქვს თქვენ ტყეს და მიწას ბაჟი დაადოს და მასთან შეავსოს, თუ რა ღირს ესა თუ ის გადაჩეხილი ტყე. სადაც შავი ძალები ვერ შეგვიშლიან ხელს იქ ვისარგებლოთ ცოტათი მაინც და წავიღოთ თქვენთვის, ძმურად, გათანასწორებით. დღეს ეს შეუძლებელია, გვეტყვის ბ.ნნი ს. დემოკრატები, მაგრამ კიდევ განვიმეორებ დღეს რაც შესაძლებელია ის იყოს, და ხვალ რაც შესაძლებელი იქნება ის იქნება, აღარც დღეს და აღარც ხვალ ეს სულ უარესი არ იქნება?! ჩვენ თუ ასთე ვიძახეთ ყოველთვის: დღეს არაფერი არ იქნება, ამ დღეს არაფერი იქნება, ძახილით ჩვენ ვერასოდეს ვერაფერს გავაკეთებთ ილოდეთ. თუ კი არ ვეცადეთ, თუ კი სოც. დემოკრატებს შევაჩერდით მართლაც რომ არც დღეს არაფერი იქნება და არც ხვალ. ასთე მღვდლებიც კი გვეუბნებოდნენ: აქ გაიჭირე და საიქიოს ცხონდებიო, ასთე გვეუბნება ს. დემოკრატებიც. აქ უნა გავიჭივროთ აქ უნდა გავხდეთ პროლეტარები, აქ უნდა ამოგვხდეს გაჭივრებაში სული და სოციალიზმის დროს გაკეთდებითო. რა მშვენიერი სიტყვებია იცით? მაგრამ აღარ დევეკითხებით, როგორი გზით მიდიან ს.-დ. იმ სამოთხისკენ, სოციალიზმისკენ? ეს რა გამოვიდა შენ რომ გაკეთების დაპირება დამიწყოდა დ შეუძლებელი გზით კი, —ასთეა ჩვენი სოც.-დემოკრატების საქმეც. მაშ ეხლა დასასრულ, ძირს კომისია, რომელიც ამოწმებს და ბაჟებს ადებს გლეხების მიერ გადაჭრილ მებატონის ტყეს.

გლეხებო, ისარგებლეთ დღევანდელ რევოლიუციით და ეცადეთ შეერთებული ძალით ბოლო მოუღოთ როგორც დღევანდელ მებაჟეებს ის ხვალინდელსაც, შეუერთდით ქალაქის პროლეტარიატს და ერთად იერიშით გასწით წინ. მაშ გაუმარჯოს გლეხების და ქალაქის პროლეტარიატის შეერთებულ ბრძოლას მათი მტრების და მჩაგვრელების წინააღმდეგ.

მუშა პ. გუჯაბიძე.

—

**გორი.** მოვიდა ახალგაზრდობა და დასდო ჩვენს ქალაქსაც სიცოცხლის ნიშან-წყალი. ცხარე კამათი პარტიულ კითხვების შესახებ, ჟურნალ გაზეთების კითხვა და სხვა სასიამოვნო რამეები ხვდება მსმენელის ყურს. ამას წინათაც, თურმეტ ივლისში ახალგაზრდობამ გამართა წარმოდგენა რუსულ ენაზედ; წარმოადგინეს გორკის პიესა „ნა დნე“; ეტყობოდა ჩვენ ახალ გაზდათ არაფერი არ დაეშურა, ყოველ მხრივეცდის, კარგი მომზადების და ენერგიის კვალი აჩნდა პიესის თამაშს. სიცოცხლით სავსეთ და ზედ მიწევნით იყო დახატული მესამე და მეოთხე მოქმედებები. სხვათა შორის მსმენელთა ყურადღება მიიპყრეს მართლა რომ ნიჭიერმა მოთამაშემ მოხუც ლუკას როლში ქ. მიხაილოვისამ; ნატაშა—ქ. გლიშოევსკისამ დ „ვასკას“—ბ. გვარამაძემ.

დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. საზოგადოება ტაშის დემით ეგებებოდა მოთამაშეთ.

---

# დეპეშები

(რუსეთის სატელეგრ. სააგენ).

—

**ბრესტ-ლიტოვსკი.** შეიარაღებულნი დაეცნენ ბერლინის ბინაზე, მოსთხოვეს კასსის გახსნა, გაიტაცეს 20 მანეთი და ძვირფასი ნივთები და მიიმალნენ.

**ბახმუტი.** დიანეცას ბასსეინში მოვიდა სამხედრო მატარებელი 33 ვაგონით, მათ შორის არის ვაგონები: სანიტარული, სახმარ მასალებით და შეპყრობილთათვის. ამავე მატარებელში იმყოფება ზარბაზნები და ტყვიის-მტყორცნელები.

**სოფია.** ფილოპოლში მომხდარი მიტინგი, გათავდა ძალმომრეობით ბერძნებზედ. ბრბო დაეცა ბერძენთ მაღაზიებს, რომელთაც იმათ სცარცვავდენ, ამტრევდნენ შუშესა და დაიჭირეს 3 ეკლესია და ერთი სკოლა. რამდენიმე კაცი დაჭრილია. უკანასკნელი ცნობებით ჯერ წესიერება არ აღუდგენიათ. ღამით მოელიან არეულობას.

**კიევი** „ნადეჟდის“ კომპანიაში აღმოაჩინეს ტვირთი 13,000 პროკლამაციით. რომელიც ეკუთვნოდა სოციალისტ-რევოლიუციონერებს, უცნობი პირი რომელიც გამოცხადა მისაღებათ მიმალა.

ბროდსკის მოსვლია ზარალი, 300,000 მანეთი რომელსაც დაეწვა ელევატორი. მეზობელ სახლის პატრონებს კი 50,000 მანეთი.

**სევასტოპოლი**. არეულობის შესახებ სასამართლომ ექვსი კაცი გაამართლა, 4 გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა, 82 კაცს სხვა და სხვა ვადით კატორგაში, საარესტანტო როტაში დი ციხეში. სასამართლოს დადგენილება წარედგინება მთავარ კომანდირს.

**ოდესსა.** ბლეხმანის გასტრონომიულ მაღაზიაში ბოროტ-მოქმედებმა, რომელთაც მიიღეს უარი ფულის მიცემაზე, ესროლეს ყუმბარა მაღაზიას. ჭურჭლის ნამტვრევებით დაიჭრა ნოქარი. დაზიანდა მოწყობილება.

**კრასნოვოდსკი.** რკინის გზის, ბატალიონის როტამ, რომელთაც სურდათ გაენთავისუფლებინათ ტუსაღები, ტაშკენტის არეულობის მონაწილენი, წავიდნენ მუშათა ბრბოთი ციხესთან, რომელთაც იმედი ჰქონდათ მერვე სარეზერვო ბატალიონის დახმარებაზე, მაგრამ უკანასკნელნი არამც თუ არ მიემხრნენ პირიქით გაჰფანტეს დემონსტრანტები ტუსაღები გემით გაგზავნეს ბაქოში. ქალაქში სიწყნარეა.

**პეტერბურგი.** უმეტესობა სახელმწიფო სათათბიროს წევრები წავიდწამოვიდნენ: პეტერბურგში დარჩნენ ასამდე. მაგარ სასმელების კვირა-უქმეებით ვაჭრობის აკრძალვის გამო, ბრბომ ორი ათასამდე, აიკლო მაღვის ტრაქტირი.

---

რედაქტორ გამომცემელი

**მიხეილ დიასამიძე.**

---


# განცხადებანი.

**ვთხოვთ** თვიურ ხელის მომწერლებს (თბილისში და თბილისს გარეთ) შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევაჩეროთ გაზეთის გზავნა.

---

ვუმეორებთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში, რომ დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნონ ანგარიში წინანდელი ნომრებისა და დროზე მოგვაშველონ მისი ხვედრი ფული, წინამღდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევწყვიტოთ თქვენთან გაზეთის გზავნა.

---

რედაქცია სთხოვს ყოველგან ამხანაგებს, თანა-მოაზრეთ და იმათ, ვინც თანაუგრძობს გაზეთის მიმართულებას, გაუწიოს ენერგიული დახმარება: ეკონომიური და იდეური კოოპერაცია გაზეთის გამეცემის საქმეს: საღამოების გამართვით, სპექტაკლების დადგმით, ხელის მოწერის გამართვით, და რეფერატებით.

ვთხოვთ პროვინციებში გაფანტულა ხანაგებს ხელი შეუწყონ გაზეთის გაავრცელებას, მოგვაწოდონ წერილები და კორესპოდენციები


ელექტრონის სტამბა „გუტენბერგის“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.